ოქმი:**ო31. 31253632**
თარიღი:**29/12/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N20

ქ. ლანჩხუთი

26. 12. 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადებისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N2081 განკარგულებით შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოიყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რომელიც მიიმართება გზებისა და ხიდეების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2781205 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოების რეაბილიტაციაზე 718795 ლარი. 2025 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის კომპესაციის გაცემის მიზნით საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 დეკემბრის N2172 განკარგულებით გამოიყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებაში, 2025 წლის საქართველოს მთავრობის 19 დეკემბრის N2168 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 427900 ლარი, რომელიც მიიმართება ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 22521 ლარი, აქედან 11000 ლარი საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების არაფინანსური აქტივების მუხლის 11000 ლარით შემცირების ხარჯზე, სულ პროექტი დამატებით დაფინანსდება 450421 ლარით. 2024 წლის 24 დეკემბრის გაფორმებული N273 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო 90878 ლარი. განათლების ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის 1730 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 1730 ლარით. განათლების ობიექტების რეაბილიტაცია მშენებლობის სხვა ხარჯების მუხლის 100000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 100000 ლარით. „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა გაიზარდოს 5000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურეობით უზრუნველყოფის პროგრამის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 2240 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 2240 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 04 აპრილის N1604/1 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოიყო 172279,67 ლარი. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N332 განკარგულებაში მიმიდნარე წლის 10 დეკემბრის N2082 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს გამოეყო ფინანსური დახმარება 400000 ათასი ლარი, ფინანსური დახმარების გეგმის 400000 ლარით ზრდის ხარჯზე შემცირდეს სხვა შემოსავლების გეგმა 300000 ლარით, მათშორის ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავალის გეგმის 200000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა 100000 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) შემოსავლის გეგმა შემცირდეს 100000 ლარით.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ 2025 წლის დიდთოვლობის შედეგად სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მაია ბლაგიძეს დაუზიანდა საცხოვრებელი სახლის სახურავი. ზარალის აღწერის მიზნით ადგილზე მისული იყო კომისია, მოახდინეს დაზარალებული ობიექტის დასურათება და განუმარტეს, რომ განცხადების დაწერა აღარ იყო საჭირო. სამ ეტაპად შედგა დაზარალებული მოსახლეობის

სია, მაგრამ მაია ბლაგიძე ვერ მოხდა ვერც ერთ სიაში.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ დაზარალებულთა სია 7 მარტიდან 10 მაისის ჩათვლით მომუშავე სპეციალურმა კომისიამ შეადგინა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების, მერიის, გუბერნიის და შსს წარმომადგენლები, ასევე მუშაობდა მერიის და 112-ის ცხელი ხაზი და შევიდნენ ყველა ოჯახში საიდანაც იყო მომართვა. დაზარალებულები კომისიის მიერ შედგენილ სიაში უნდა ასახულიყვნენ მისი მოქმედების პერიოდში, რადგან სამუშაოს დასრულების შემდეგ კომისია გაუქმდა.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ითხოვა ადგილობრივი ხელისუფლებიდან, რომ კვლავ მოხდეს მაია ბლაგიძის ზარალის განხილვა და მოხდეს მისი დახმარება, რადგან წვიმების დროს წყალი ჩადის შენობაში, არის კედლების დანგრევის და შესაბამისად სახლის დანგრევის საშიშროება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ კონკრეტულად მაია ბლაგიძის საკითხი გასარკვევია და შემდგომში მოხდება რეაგირება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N27 (26.12.2025).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ მ/წლის 01 ოქტომბერს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“. რაც დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების

დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით. 2025 წლის 11 დეკემბერს N1 შეთანხმების აქტით ცვლილება შევიდა

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში, კერძოდ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება“. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროსა და

მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ, დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევებზეც.

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა განსაზღვრულია დელეგირების შესახებ

კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 67(26.12.2025).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში 1050 ლარი. “

ასევე შედის ცვლილება ფრაქციის კვოტირებასთან დაკავშირებით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი ერთი(ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა დადგენილება N28 (26.12.2025).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 დეკემბერი 2025 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 58	
2	ვერიკო კვირკველია	11.57	
3	მაია ლომთაძე	11.58	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	შვებულება	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 50	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:55	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	—	
15	ნინო მშვიდობაძე	11:56	
16	ივანე ებრალიძე	11 55	
17	ირაკლი ცინცაძე	11 53	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11–58	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11 55	
20	გოგი მორჩილაძე	—	
21	ელისო ჭიჭინაძე	—	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 56	
23	ირაკლი ტოროტაძე	11. 55	

24	ტატო ურუშაძე	11:55	
25	გელა პატეიშვილი	11:50	
26	თენგიზ ურუშაძე	11-55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:50	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11:55	
29	სამსონ კვაჭაძე	11:45	
30	გოჩა ჯანაშია	—	
31	თორნიკე მითაიშვილი	—	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11:50	